

შპს ნეოტექი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგებები

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	7
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი.....	10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	11
4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება	12
5. გაყიდული პროდუქციის და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	14
6. სხვა შემოსავალი.....	14
7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯი	14
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15
9. საკუროს სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	15
10. ძირითადი საშუალებები.....	16
11. საინვესტიციო ქონება	17
12. მარაგები	17
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
14. გაცემული სესხები.....	19
15. ფული და ფულის ეკვივალენტები	19
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
17. დაკავშირებული მხარეები.....	20
18. პირობითი ვალდებულებები.....	21
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	22

მმართველობის ანგარიშგება	28
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნეოტექის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნეოტექის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე შევისწავლეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი კორექტირებები, რომლებიც გამოყენებული იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შესატანად, რომლის აუდიტიც ჩაატარა სხვა აუდიტორულმა კომპანიამ და 2020 წლის 22 სექტემბერს გამოხატეს არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი აზრით, მსგავსი ცვლილებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანიის უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხედრავს 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხედრობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი 2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ნეოტექის“ ხელმძღვანელებს და დამფუძნებლებს,

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ნეოტექის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, საკუთარი კაპიტალის მოძრაობას და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2020 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე შევისწავლეთ მე-4 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი კორექტირებები, რომლებიც გამოყენებული იქნა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შესატანად, რომლის აუდიტიც ჩატარა სხვა აუდიტორულმა კომპანიამ და 2020 წლის 22 სექტემბერს გამოხატეს არამოდიფიცირებული მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი აზრით, მსგავსი ცვლილებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დაუწინაშეობთ კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზრუნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის

დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანიის უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:



დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

15 ივნისი 2021

შპს ნეოტექი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019* გადაანგარიშებული
ამონაგები		17,048,079	22,007,362
გაყიდული პროდუქციისა და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	5	(13,713,645)	(17,478,623)
საერთო მოგება		3,334,434	4,528,739
სხვა შემოსავალი	6	1,214,033	49,859
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(670,665)	(850,266)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,418,170)	(1,327,625)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	13;14	(241,084)	(169,892)
საოპერაციო მოგება		2,218,548	2,230,815
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		27,317	(25,824)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	9	(54,808)	(231,256)
მოგება დაბეგვრამდე		2,191,057	1,973,735
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,595)	(21,833)
წლის სრული შემოსავალი		2,171,462	1,951,902

* შეცდომის შედეგად ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების დეტალებისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	იგორ ფარჯიანი
მთავარი ბუღალტერი	_____	ლევან ბერიძე

შპს ნეოტექი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს


(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019* გადაანგარიშებული
ამონაგები		17,048,079	22,007,362
გაყიდული პროდუქციისა და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	5	(13,713,645)	(17,478,623)
საერთო მოგება		3,334,434	4,528,739
სხვა შემოსავალი	6	1,214,033	49,859
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	7	(670,665)	(850,266)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(1,418,170)	(1,327,625)
ფინანსური აქტივების გაუფასურება	13;14	(241,084)	(169,892)
საოპერაციო მოგება		2,218,548	2,230,815
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა		27,317	(25,824)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	9	(54,808)	(231,256)
მოგება დაბეგვრამდე		2,191,057	1,973,735
მოგების გადასახადის ხარჯი		(19,595)	(21,833)
წლის სრული შემოსავალი		2,171,462	1,951,902


* შეცდომის შედეგად ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების დეტალებისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 ივნისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

 იგორ ფარჯიანი

მთავარი ბუღალტერი

 ლევან ბერიძე



შპს ნეოტექი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019* გადაანგარიშებული	01.01.2019* გადაანგარიშებული
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	3,422,968	3,331,382	3,022,418
საინვესტიციო ქონება	11	695,016	679,696	-
არამატერიალური აქტივები		47,482	51,703	51,818
		4,165,466	4,062,781	3,074,236
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	12	6,633,167	6,007,757	5,377,255
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	1,634,119	2,246,016	2,352,715
გაცემული სესხები	14	111,570	188,719	11,727
ფული და ფულის ეკვივალენტები	15	1,953,179	671,281	2,570,887
		10,332,035	9,113,773	10,312,584
სულ აქტივები		14,497,501	13,176,554	13,386,820
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,000	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება		10,567,058	9,061,468	7,851,566
სულ კაპიტალი		10,569,058	9,063,468	7,853,566
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები		-	-	477,273
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,918,152	3,932,240	4,913,938
საგადასახადო ვალდებულება		10,291	180,846	142,043
სულ ვალდებულებები		3,928,443	4,113,086	5,533,254
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		14,497,501	13,176,554	13,386,820

* შეცდომის შედეგად ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების დეტალებისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

შპს ნეოტექი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2019 წლის 1 იანვარი* (გადაანგარიშებული)	2,000	7,851,566	7,853,566
წლის სრული შემოსავალი	-	1,951,902	1,951,902
გამოცხადებული დივიდენდი	-	(742,000)	(742,000)
2019 წლის 31 დეკემბერი* (გადაანგარიშებული)	2,000	9,061,468	9,063,468
წლის სრული შემოსავალი	-	2,171,462	2,171,462
გამოცხადებული დივიდენდი	-	(665,872)	(665,872)
2020 წლის 31 დეკემბერი	2,000	10,567,058	10,569,058

* შეცდომის შედეგად ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების დეტალებისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

შპს ნეოტექი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2020	2019* გაანგარიშებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		2,191,057	1,973,735
კორექტირებები:			
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი, წმინდა	8	(27,317)	(1,215)
ცვეთა და ამორტიზაცია	5;7;8	320,145	284,384
საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება	13	153,664	169,892
გაცემული სესხების გაუფასურება	14	87,420	-
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	8	(1,181,277)	-
კურსთაშორის სხვაობისა და მიღებული ზარალი	9	54,808	231,256
მარაგების გაუფასურება		176,272	160,623
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		1,774,772	2,818,675
მარაგების ზრდა		(801,682)	(791,125)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)		458,233	(63,193)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		1,090,457	(1,162,826)
საგადასახადო ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(203,849)	1,703
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,317,931	803,234
გადახდილი პროცენტი		-	(21,378)
გადახდილი მოგების გადასახადი		(19,595)	(21,834)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,298,336	760,022
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(388,616)	(1,153,026)
საინვესტიციო ქონების შეძენა		(34,212)	(119,903)
პროცენტის მიღება		4,230	-
სესხის გაცემა		302,817	392,602
გაცემული სესხის დაფარვა		(290,000)	(547,000)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(405,781)	(1,427,327)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხების დაფარვა		-	(504,312)
გადახდილი დივიდენდი		(632,578)	(704,900)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(632,578)	(1,209,212)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		1,259,977	(1,876,517)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	15	671,281	2,570,887
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	9	21,921	(23,089)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	15	1,953,179	671,281

* შეცდომის შედეგად ფინანსური ანგარიშგების გადაანგარიშების დეტალებისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ნეოტექი ს.კ. 206201698 (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაარსების თარიღი: 2005 წლის 19 სექტემბერი). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის სისტემების რეალიზაცია და მონტაჟი.

კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დავით არჩვაძე (მაკონტროლებელი პირი)	60%	25%
ივანე გაგუა	40%	75%
	100%	100%

კომპანიის ოფისის მისამართია ბოხუას ქ. #6, თბილისი, საქართველო.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს-ები) შესაბამისად.

კომპანიის მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. მისი ბოლო ფინანსური ანგარიშგება ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადდა 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის, რომელიც არის 2019 წლის 1 იანვარი და საანგარიშგებო წლისთვის რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს (შესადარის ინფორმაცია), კომპანიის მიერ მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არ განსხვავდებოდა მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებისგან. მსს ფასს-ზე გადასვლამ არ გამოიწვია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

კომპანია იყენებს მსგავს სააღრიცხვო პოლიტიკას პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-20 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

თანხები მრგვალდება უახლოეს ლარამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდია კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

მომზადების საფუძვლის მიზანშეწონილობის დადგენისას, კომპანიის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა COVID-19 პანდემიის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის საქმიანობაზე მომავალში. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. პანდემიას გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად მისი ეფექტისა საქმიანობის შედეგებზე, ფულადი სახსრების მოძრაობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანია რჩება მომგებიანი საანგარიშგებო წლისთვის. მას ასევე აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან.

შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-13 განმარტებითი შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება

ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

	თანა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანა ცვლილების შემდეგ
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3,395,500	(64,118)	-	3,331,382
საინვესტიციო ქონება	407,751	271,945	-	679,696
მარაგები	5,962,894	44,863	-	6,007,757
გაცემული სესხები	-		188,719	188,719
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,479,563		766,453	2,246,016
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	188,719		(188,719)	-
გადახდილი ავანსები	585,660	180,793	(766,453)	-
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,876,191	243,425	812,624	3,932,240
მიღებული ავანსები	812,624	-	(812,624)	-
საგადასახადო ვალდებულება	198,615	(17,769)		180,846
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	8,853,641	207,827	-	9,061,468

ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:

	თანა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანა ცვლილების შემდეგ
გაყიდული პროდუქციისა და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება	-	-	(17,478,623)	(17,478,623)
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	(13,954,746)		13,954,746	-
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	-		(850,266)	(850,266)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-		(1,327,625)	(1,327,625)
საოპერაციო ხარჯები	(1,720,676)	-	1,720,676	-
ხელფასის ხარჯი	(3,866,601)	-	3,866,601	-
ცვეთის ხარჯი	(353,258)	68,875	284,383	-
ფინანსური აქტივების გაუფასურება	-		(169,892)	(169,892)
სხვა შემოსავალი	-		49,859	49,859
არასაოპერაციო შემოსავალი	76,071		(76,071)	-
არასაოპერაციო ზარალი	(39,909)		39,909	-
ფინანსური შედეგი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	14,912		(14,912)	-
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	-	-	(25,824)	(25,824)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა	(258,295)	-	27,039	(231,256)

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება (გაგრძელება)

ცვლილება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაზე:

	თანხა ცვლილებამდე	ცვლილება	თანხა ცვლილების შემდეგ
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	642,725	117,297	760,022
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,272,930)	(154,397)	(1,427,327)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,246,312)	37,100	(1,209,212)

ცვლილება 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

	თანხა ცვლილებამდე	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	თანხა ცვლილების შემდეგ
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	2,883,466	138,952	-	3,022,418
მარაგები	5,133,234	244,021	-	5,377,255
გაცემული სესხები			11,727	11,727
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,889,249		463,466	2,352,715
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	56,068		(56,068)	-
გადახდილი ავანსები	591,476	(172,351)	(419,125)	-
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,793,345	71,670	2,048,923	4,913,938
მიღებული ავანსები	2,048,923	-	(2,048,923)	-
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	7,712,614	138,952	-	7,851,566

განხორციელებული ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იყო შემდეგი:

- ძირითად საშუალებებსა და საინვესტიციო ქონებაზე ცვეთის მეთოდის და მომსახურების ვადების გადახედვის და ცვეთის გადაანგარიშების შედეგად დაგროვილი ცვეთის და ცვეთის ხარჯის ცვლილება.
- ძირითადი საშუალებების მუხლიდან იჯარით გაცემული ქონების გადატანა საინვესტიციო ქონების მუხლში;
- მარაგების შესყიდვის აღიარება ინკოტერმსის პირობის შესაბამისად;
- დაგროვებითი პენსიის ვალდებულების გადატანა საგადასახადო ვალდებულებიდან სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლში;
- მუხლების დაჯგუფება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენის მიზნებისთვის. გადახდილი ავანსების და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების წარდგენა „სავაჭრო და სხვა მოთხოვნების“ მუხლში. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსების წარდგენა „სავაჭრო და სხვა ვალდებულებების“ მუხლში;
- გაცემული სესხების გამოყოფა სხვა მოკლევადიანი მოთხოვნებიდან და ცალკე მუხლად წარდგენა;
- საპროცენტო შემოსავლები, რომელიც აღიარებული იყო სხვა შემოსავლებში ფინანსური შემოსავლების და ხარჯების მუხლში წარდგენა;

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

4. შესადარისი ინფორმაციის ცვლილება (გაგრძელება)

- კომპანიის მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ფუნქციური დანიშნულების მიხედვით გაყიდვის და მიწოდების ხარჯების, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები და გაყიდული პროდუქციისა და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულების მუხლში;
- სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის წარდგენა ფინანსური შემოსავლების და ხარჯების მუხლში;

5. გაყიდული პროდუქციის და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის და მიწოდებული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
გახარჯული მარაგები	(10,848,735)	(13,697,769)
შრომის ანაზღაურება	(2,160,868)	(2,664,893)
ცვეთა	(190,861)	(172,278)
სხვა	(513,181)	(943,683)
	(13,713,645)	(17,478,623)

6. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა*	1,181,277	-
სხვა	32,756	49,859
	1,214,033	49,859

*Hangzhou Hikvision Technology Co. Ltd-მ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთ-ერთ ძირითად მომწოდებელს, კოვიდ პანდემიიდან გამომდინარე კომპანიას გამოუწერა კრედიტნოტა ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებით.

7. გაყიდვის და მიწოდების ხარჯი

გაყიდვის და მიწოდების ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(473,219)	(558,941)
მზა პროდუქციის საწყობის იჯარა	(91,177)	(89,573)
რეკლამა	(54,637)	(107,070)
ცვეთა	(2,770)	(2,184)
სხვა	(48,862)	(92,498)
	(670,665)	(850,266)

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	(839,882)	(895,637)
პროფესიული მომსახურება	(145,530)	(10,476)
ცვეთა და ამორტიზაცია	(126,514)	(109,922)
სამეურნეო და ოფისის ხარჯი	(97,751)	(105,003)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	(48,286)	(40,429)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	(35,199)	(39,478)
მივლინება და წარმომადგენლობითი ხარჯი	(27,171)	(36,578)
ბანკის საკომისიო	(21,070)	(28,948)
მიმდინარე რემონტი და შეკეთება	(25,455)	(24,363)
სხვა	(51,312)	(36,791)
	(1,418,170)	(1,327,625)

9. საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა

საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი, წმინდა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ფული და ფულის ეკვივალენტები	21,921	(23,089)
სხვა ფინანსური ინსტრუმენტები	(76,729)	(208,167)
	(54,808)	(231,256)

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	ინსტრუმენტები და მოწყობილობები	აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	სხვა	სულ
2019 წლის 1 იანვარი	21,783	1,839,285	532,854	845,118	335,928	112,673	3,687,641
შემოსვლა	-	686,866	193,986	204,731	85,023	-	1,170,606
გადატანა საინვესტიციო ქონებაზე	(21,783)	(631,288)	-	-	-	-	(653,071)
გასვლა	-	-	(38,644)	-	-	-	(38,644)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	1,894,863	688,196	1,049,849	420,951	112,673	4,166,532
შემოსვლა	-	213,392	34,675	69,626	86,826	-	404,519
გასვლა	-	-	(5,880)	-	(11,094)	-	(16,974)
2020 წლის 31 დეკემბერი	-	2,108,255	716,991	1,119,475	496,683	112,673	4,554,077
დაგროვილი ცვეთა							
2019 წლის 1 იანვარი	-	(182,667)	(149,764)	(184,054)	(137,121)	(11,618)	(665,224)
ცვეთა	-	(38,662)	(63,005)	(109,273)	(48,750)	(1,679)	(261,369)
გადატანა საინვესტიციო ქონებაზე	-	74,745	-	-	-	-	74,745
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	16,698	-	-	-	16,698
2019 წლის დეკემბერი	-	(146,584)	(196,071)	(293,327)	(185,871)	(13,297)	(835,150)
ცვეთა	-	(48,073)	(69,443)	(121,418)	(56,992)	(1,104)	(297,030)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	-	628	-	443	-	1,071
2020 წლის დეკემბერი	-	(194,657)	(264,886)	(414,745)	(242,420)	(14,401)	(1,131,109)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერი	-	1,748,279	492,125	756,522	235,080	99,376	3,331,382
2020 წლის 31 დეკემბერი	-	1,913,598	452,105	704,730	254,263	98,272	3,422,968

მიმდინარე სასამართლო დავასთან (განმარტებითი შენიშვნა 18) დაკავშირებით უძრავი ქონების ნაწილზე დაწესებულია შეზღუდვა - გასხვისებაზე ან იპოთეკით დატვირთვაზე. მოცემული აქტივების საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 183,647 და 190,040 ლარს, შესაბამისად.

სს საქართველოს ბანკთან გაფორმებულ უზრუნველყოფის გენერალურ ხელშეკრულებაში ჩადებულია კომპანიის უძრავი ქონების ნაწილი, რომლის საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,397,753 და 1,437,203 ლარს, შესაბამისად. 2020 და 2019 წლის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს მიღებული სესხები.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა	სულ
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-
გადმოტანა ძირითადი საშუალებიდან	21,783	631,288	653,071
შემოსვლა	-	119,903	119,903
2019 წლის 31 დეკემბერი	21,783	751,191	772,974
შემოსვლა	-	34,212	34,212
2020 წლის 31 დეკემბერი	21,783	785,403	807,186
დაგროვილი ცვეთა			
2019 წლის 1 იანვარი	-	-	-
გადმოტანა ძირითადი საშუალებიდან	-	(74,745)	(74,745)
ცვეთა	-	(18,533)	(18,533)
2019 წლის დეკემბერი	-	(93,278)	(93,278)
ცვეთა	-	(18,892)	(18,892)
2020 წლის დეკემბერი	-	(112,170)	(112,170)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2019 წლის 31 დეკემბერი	21,783	657,913	679,696
2020 წლის 31 დეკემბერი	21,783	673,233	695,016

მიმდინარე სასამართლო დავასთან (განმარტებითი შენიშვნა 18) დაკავშირებით უძრავი ქონების ნაწილზე დაწესებულია შეზღუდვა - გასხვისებაზე ან იპოთეკით დატვირთვაზე. მოცემული აქტივების საბალანსო ღირებულება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 301,537 და 275,066 ლარს, შესაბამისად.

12. მარაგები

მარაგები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
გასაყიდი მარაგები	6,095,650	5,240,944
დაუმთავრებელი წარმოება	283,014	477,930
მარაგები გზაში	430,775	288,883
მინუს: მარაგების გაუფასურება	(176,272)	-
	6,633,167	6,007,757

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	2,131,122	2,158,958
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(837,567)	(683,903)
	1,293,555	1,475,055
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	340,368	766,453
ავანსები პერსონალზე	196	4,508
	340,564	770,961
	1,634,119	2,246,016

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	31.12.2020	31.12.2019
ვადადუმდგარი, გაუფასურების გარეშე	545,253	966,901
ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	805,305	-
ჯგუფურად შეფასებული მოთხოვნები გაუფასურებაზე	780,564	1,192,057
	2,131,122	2,158,958
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(837,567)	(683,903)
	1,293,555	1,475,055

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიხედვით საკრედიტო რისკის მართვის მიზნებისთვის ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- ვადადუმდგარი და გაუფასურების გარეშე
- ინდივიდუალურად შეფასებული გაუფასურებაზე და
- ჯგუფურად შეფასებული გაუფასურებაზე

პირველი კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელიც არ არის ვადაგადაცილებული და არ ექვემდებარება გაუფასურებას.

მეორე კატეგორია მოიცავს აქტივებს, რომელთა გაუფასურებაზე შემოწმება ხორციელდება ინდივიდუალურ საფუძველზე და საჭიროების შემთხვევაში იქმნება შესაბამისი რეზერვი. ასევე, შესაძლოა ამ კატეგორიაში არსებული მოთხოვნები იყოს ვადაგადაცილებული, თუმცა ობიექტური მტკიცებულება მათ გაუფასურებასთან დაკავშირებით არ იყოს გამოვლენილი. ამ შემთხვევაში კომპანია არ ქმნის გაუფასურების ანარიცხს.

მესამე კატეგორიაში ერთიანდება აქტივები, რომელთა დაკავშირებითაც არსებობს გაუფასურების მტკიცებულება და კომპანია ქმნის ჯგუფურ რეზერვს.

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

13. საფასურო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

გაუფასურების რეზერვის რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
1 იანვარი	(683,903)	(514,011)
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	(153,664)	(169,892)
31 დეკემბერი	(837,567)	(683,903)

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

14. გაცემული სესხები

გაცემული სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
სესხის ძირი	167,000	179,636
დარიცხული პროცენტი	31,990	9,083
	198,990	188,719
მინუს: გაუფასურების რეზერვი	(87,420)	-
	111,570	188,719

გაცემული სესხების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

15. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	888,424	172,062
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	1,062,667	499,039
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,088	180
	1,953,179	671,281

ფული და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას.

16. საფასურო და სხვა ვალდებულებები

საფასურო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2020	31.12.2019
ფინანსური ვალდებულებები		
საფასურო ვალდებულებები	2,582,361	3,074,216
გადასახდელი ხელფასები	428,036	43,763
სხვა ვალდებულებები	4,628	1,640
	3,015,025	3,119,619
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	903,127	812,621
	903,127	812,621
	3,918,152	3,932,240

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

17. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს და უმაღლესი ხელმძღვანელობის პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	294,576	1,634,119

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ნაშთები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	379,117	2,246,016
გაცემული სესხები	100,526	188,719

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	936,667	17,048,079
იჯარის ხარჯი	(24,346)	(670,665)

კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე	ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი მუხლი
სრული შემოსავლის ანგარიშგება		
ამონაგები	1,987,204	22,007,362
იჯარის ხარჯი	(8,659)	(850,266)

უმაღლესი ხელმძღვანელობის მოკლევადიანი სარგებელი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019
ხელფასი და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(335,049)	(383,492)

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს მიმდინარე სასამართლო დავა, რომელიც უკავშირდება კომპანიის დებიტორის - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ შეტანილ სარჩელს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების ნაკლოვანებების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ზიანის მოცულობა შეფასდა 994,022 ლარის (ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილი თანხა) ოდენობით. პირველ ეტაპზე საქმის განხილვა მოხდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის მიერ 2018 წელს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სარჩელი.

შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2020 წლის დეკემბერში მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც კომპანიას დაეკისრა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სასარგებლოდ 994,022 ლარის გადახდა. კომპანია გეგმავს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას უზენაეს სასამართლოში. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, რადგან ორივე დონის სასამართლოს მიერ მოხდა განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, არსებობს განუსაზღვრელობა მავალდებულებელი მოვლენის დადასტურებასთან დაკავშირებით, რომელიც დამოკიდებულია უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღებასა და კომპანიის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანაზე. შესაბამისად, ხელმძღვანელობას მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს აღიარებული რაიმე ანარიცხი.

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

თავდებობა - კომპანია არის თავდები თავისი დაკავშირებული მხარის - შპს საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების საბანკო სესხთან დაკავშირებით. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი არ დაფიქსირებულა და, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მხარეებს შორის შეთანხმებული საკონტრაქტო ვალდებულების შეუსრულებლობის ალბათობა დაბალია. შესაბამისად, ანარიცხი არ შეუქმნია.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენებს:

- კომპანიამ აიღო სესხები სს საქართველოს ბანკისგან 800,000 ლარის ოდენობით და ნაწილობრივ დაფარა 2021 წელს. სესხების საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11% და 12.3%-ს. სესხები იფარება 2021 და 2022 წელს. სესხი არის უზრუნველყოფილი კომპანიის საოფისე ფართით (განმარტებითი შენიშვნა 10);
- კომპანიამ გასცა სესხი მის დაკავშირებულ მხარეზე - შპს მზე, 530,000 ლარის ოდენობით. სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12.8%-ს. სესხი იფარება 2022 წლის თებერვალში; მოცემული სესხის ნაწილი 321,500 ლარის ოდენობით დაფარულია 2021 წელს;
- მე-18 განმარტებითი შენიშვნაში აღწერილი იურიდიული დავა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიღო წარმოებაში განსახილველად;

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბრის

(ქართულ ლარში)

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოიყენება მოცემული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ეს პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის საოპერაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2020	31.12.2019
ლარი/1 აშშ დოლარი	3.2766	2.8677
ლარი/1 ევრო	4.0233	3.2095

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. კომპანია გაყიდვებს ახორციელებს ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და მისაღები მოთხოვნები არ შეიცავს პროცენტს. ეს ფინანსური აქტივები ხასიათდება ფიქსირებული ან განისაზღვრებადი გადასახადებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ისინი, ძირითადად, მომხმარებლებისთვის მომსახურების გაწევის შედეგად წარმოიქმნება. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულე, გადფოლტება ან ვადაგადაცილება) იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ მოვლენამ/მოვლენებმა გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე და კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების სრულად მიღებას.

კომპანია საკრედიტო რისკების შეფასებას ახორციელებს ჯგუფურ და ინდივიდუალურ საფუძველზე. გაუფასურების რეზერვი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. იმისათვის, რათა განისაზღვროს გაუფასურების ზარალი ჯგუფურად, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი.

გაუფასურების რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებებს შორის. მოთხოვნების კატეგორიისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში ასეთი რეზერვები აისახება ცალკე მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნების ამოღება შეუძლებელია, აქტივის მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. ეს ფინანსური აქტივები ხასიათდება ფიქსირებული ან განისაზღვრებადი გადასახადებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აქტივების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ისინი აღირიცხება მიმდინარე აქტივებში, გარდა იმ შემთხვევისა თუ გადახდა გადავადებულია საანგარიშო თარიღის შემდეგ 12 თვეზე მეტი ვადით.

შპს ნეოტექი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

(ქართულ ლარში)

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს და ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით (გარიგების ხარჯების ჩათვლით). სავაჭრო გადასახდელები წარმოადგენს ვალდებულებებს ნორმალური საკრედიტო პირობებით და არ შეიცავს პროცენტს. პროცენტის მატარებელი ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; აღიარების შეწყვეტისას, განსხვავება აქტივის საბალანსო ღირებულებას და მიღებული და მისაღები ანაზღაურების თანხას შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავალში.

კომპანია წყვეტს ფინანსურ ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ ხდება კომპანიის ვალდებულებების შესრულება, გაუქმება ან მათი მოქმედების ვადის გასვლა. სხვაობა აღიარებული ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში ან სხვა სრულ შემოსავლებში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	40
სატრანსპორტო საშუალებები	10
ინსტრუმენტები და მოწყობილობები	5-10
აღჭურვილობა და საოფისე ტექნიკა	5-10
სხვა	5
მიწა	არ ერიცხება ცვეთა

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა: (ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან (ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორიცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონების შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებულია ზოგიერთი სახის საქმიანობა, რომელიც აუცილებელი არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად, ან მის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. ასეთ დამხმარე ოპერაციებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული შემოსავალი და ხარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალით შემცირებული ისტორიულ ღირებულებით. საინვესტიციო ქონებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი შეადგენს 40 წელს.

სასარგებლო მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება საოპერაციო ხარჯებში მათი გაწევისთანავე, თუ ისინი არ შეესაბამება კაპიტალიზებად დანახარჯებს.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება, გარდა გუდვილისა

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება თითოეული საანგარიშო თარიღისთვის, რათა შეფასდეს, ხომ არ არის ისინი აღრიცხული აღდგენით ღირებულებაზე მეტი თანხით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. როდესაც საბალანსო ღირებულებები აღემატება შეფასებულ ანაზღაურებად თანხას, აქტივები ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურება აღიარებულია შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის ხარჯი კორექტირდება მომავალ პერიოდებში, რათა გადანაწილდეს აქტივების შესწორებული საბალანსო ღირებულება, გამოკლებული ნარჩენი ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე სისტემატურ საფუძველზე.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი. მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. დივიდენდის გამოცხადების გარდა, სხვა მავალდებული მოვლენა, რომელიც წარმოქმნის მოგების გადასახადს აღიარდება საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დავალიანება იანგარიშება საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო სისტემაში შესული ცვლილებების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების წარმოქმნა.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულება მცირდება სავაჭრო და ანგარიშსწორების ფასდაკლებებით, მომხმარებელთა შეფასებული უკანდაბრუნებებით და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადებით.

საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

იმ შემთხვევაში თუ კომპანია ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება. კომპანიამ შეიძლება შეინარჩუნოს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი როდესაც:

(ა) საწარმოს მიერ კონკრეტული საქონლის გაყიდვიდან ამონაგების მიღება დამოკიდებულია მყიდველის მიერ ამ საქონლის გაყიდვაზე;

(გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია გაგზავნილი საქონლის დამონტაჟება და ეს პირობა მნიშვნელოვანი სახელშეკრულებო ვალდებულებებია, რომელიც საწარმოს ჯერ არ შეუსრულებია;

როდესაც კომპანია ყიდის უსაფრთხოების სისტემას ინსტალაციის ჩათვლით, ამ შემთხვევაში ინსტალაცია არ განიხილება როგორც გარიგების ცალკეული კომპონენტი, რადგან კომპანია განცალკევებულად არ ყიდის ინსტალაციის მომსახურებას, თუ ის ასევე არ ყიდის სისტემას. როდესაც ინსტალაცია ხდება საქონლის გაყიდვის დროს, საქონლის გაყიდვისას აღიარდება ინსტალაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი საფასური. კომპანია ჩვეულებრივ აღიარებს შემოსავალს, როდესაც მყიდველთან გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი და ინსტალაცია და შემოწმება დასრულებულია, რადგან ჩვეულებრივ ამ დროს ხდება საქონელზე საკუთრების მნიშვნელოვანი რისკისა და სარგებლის გადაცემა. ამასთან, შემოსავლის აღიარება ხდება მყიდველისთვის მიწოდებისთანავე, როდესაც ინსტალაციის პროცესი მარტივია.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მომსახურების გაყიდვა

მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ და შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(ბ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლა კომპანიაში გადავადებულია და შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხების დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

კომპანია აღიარებს სხვაობას მომავალი შემოსავლის დღევანდელ ღირებულებას და ანაზღაურების ნომინალურ თანხას შორის, როგორც საპროცენტო შემოსავალს.

როდესაც სავარაუდოა, რომ მთლიანი საკონტრაქტო ხარჯები გადააჭარბებს ხელშეკრულების მთლიან შემოსავალს, მოსალოდნელი ზარალი დაუყოვნებლივ აღიარებულია ხარჯად.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს სასაწყობო ფართს საოპერაციო საქმიანობისთვის და ეს იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო საიჯარო გადასახადები აღიარებულია, როგორც ხარჯი, წრფივ საფუძველზე, საიჯარო ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემური საფუძველი უფრო წარმომადგენლობითად უზრუნველყოფს იჯარით აღებული აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებელის განაწილებას.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არამონეტარული სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოშვებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

20. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხი შექმნის საფუძველი შეიძლება იყოს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება.

მმართველობის ანგარიშგება

ივნისი 2021 წ

შპს ნეოტექი



შინაარსი

წინასიტყვაობა.....	30
საქმიანობის მიმოხილვა და კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები.....	31
კომპანიის ფილიალები	34
კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა	35
განვითარების გეგმები	35
ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ	36
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ	36
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	37

წინასიტყვაობა

კომპანია „ნეოტექი“ უსაფრთხოების სისტემის ბაზარზე 2005 წლიდან ოპერირებს. კომპანიამ არსებობის მანძილზე წარმატებული საქმიანობით შეძლო უსაფრთხოების სისტემის ბაზარზე წამყვანი პოზიციების დაკავება, მისი შენარჩუნება. კომპანია „ნეოტექის“ მიერ განხორციელებული პროექტები შეესაბამება უსაფრთხოების სისტემების პროექტირება-მონტაჟის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ უსაფრთხოების სისტემების მიმართულებით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოში სწორედ „ნეოტექის“ მიერ არის განხორციელებული.



კომპანია მუდმივად ცდილობს კორპორატიული კულტურის, პროცესების გაუმჯობესებას კლიენტთა კმაყოფილების გასაზრდელად.

„ჩვენი გადაწყვეტილებები ქმნიან თქვენს გარემოს უფრო უსაფრთხოს“

საქმიანობის მიმოხილვა და კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტები

2020 წელი სავსე იყო გლობალური გამოწვევებით კოვიდ-19 პანდემიის გამო გამოწვეული ფინანსური კრიზისით. შესაბამისად კომპანიის წინაშე დადგა აუცილებლობა შეემუშავებინა ანტიკრიზისული გეგმა, რომლის საშუალებითაც კომპანია შეძლებდა კრიზისთან დაკავშირებული ნეგატიურ მოვლენებთან გამკლავებას. კომპანიამ შეიმუშავა ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ეფუძნება ქვემოთ მოცემულ პრინციპებს:


კრიზისების მართვა - 10 ნაბიჯი წარმატებისაკენ



კრიზისების მართვა		
ნოტუქი: 10 ნაბიჯი ფინანსური კრიზისის შესამსუბუქებლად		
დასაწყისი: 01 დეკ 2020 LAST UPDATE: NEXT REVIEW: 31 Dec 2020		
1. ღირებულება და გულისხმობა (მოწოდებულები, კლიენტები, თანამშრომლები) - პიკეტაჟიანად ჩატარებული წარმატებული პრეზენტაცია, ხაზგასმული წარტყმები და გამოწვევები, განვითარების თანამედროვე ხედვა და 2021 წლის გეგმა - კლიენტებთან მზადდება სახალხო საფუძვლი, ხაზგასმული თბილი მოსმენა და დამატებითი მიუხედავად ერთად ყოფნის სურვილი (რეზილიენტული სახალხო მოსალოცო მართალი) - თანამშრომლები - მისაწვდომი საერთო კრება სადაც მიმდინარე წლის შედეგებზე კონკრეტულ კოლექტივურად და 2021-ის გამოწვევებზე და შესაძლო ფინანსური კრიზისზე იქნება დიალ საუბარი	4. კომუნიკაცია ფინანსური ხარჯების შემცირების საკითხის შესახებ (ტოპ მენეჯმენტი, საერთო კრება) კომპანიის მიზნით ღირ და გამოწვევით კომუნიკაცია გადაწყვეტილება, ამგვარადვე ხარჯების შემცირებაზე ზრუნა აუცილებელი დიფერენციალად გადაწყვეტილებას, რომელიც ხარჯების შემცირებას ხალხის განათავსებულობით ეხება, შესაძლოა კომპანია პანიკის მორეცხი ჩამართოს, ვიზიუალთ თითოეული თანამშრომელს განსაზღვროს ის სფეროები, სადაც ხარჯის შემცირება შესაძლებელია განუმარტეთ გუნდს, რომ ეს ყველა სასიკეთოა და ყველა იდეა მისასაღებელია! ვიზუალ გამოვიყენოთ იმის საჩვენებლად, რომ თანამშრომლების თანამდებობიდან განთავსებულება ბოლო გზაა, რომლის თავიდან ავიცილებთ გვიანად, დავამოტივიროთ თანამშრომლები, რომ მოგვეცნ სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებები ხარჯების შესამცირებლად	7. მოვლადიანი ფინანსური (ტოპ მენეჯმენტი, ფინ.დებარტამენტი) - Cash Flow-ს შედგენის და 2020_2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, საკითხების შემთხვევაში, საკითხი ფინანსურ ინსტიტუტებთან მოკლევადიან ბიზნესის სესხზე მოლაპარაკებების დაწყება, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ ეს დავიხმანება - გადავხედოთ სახელმწიფო დახმარების პროგრამებს, შესაძლოა იყოს რაიმე ახალი ინიციატივა, რომელსაც გამოვიყენებთ
2. მიმდინარე და სამომავლო პროექტების გადახედვა (ტოპ მენეჯმენტი, IT დონის მენეჯმენტი) - მიმდინარე და სამომავლო პროექტებში კაპიტალდამანახევების ეფექტურობის შეფასება მენეჯმენტის გუნდის შეკრება - მაგ. EPR სისტემის განახლების პროექტი - გაყოფილების და მარკეტინგის გუნდი - მარკეტინგის პარტის განახლება - საწარმოს მოწყობა - დაშვების სისტემების ადგილი და რეონტი - და ა.შ.	5. მიწოდების გეგმა და უწყვეტობის უზრუნველყოფა (დირექტორის მონაღვლე, ადმ. დირექტორი, შესყიდვ. განყოფილება) - პიკეტაჟიანად 2021 წლის შესყიდვების გეგმის დამტკიცება 2020 წლის დარჩენილი შესყიდვების დაგეგმვა - ლიკვიდური და არალიკვიდური მარაგების გაუმჯობესებული განსაზღვრა - პროდუქტების კატეგორიზაცია - ანალიტიკური პროდუქტების ერთმანეთთან დალიკვა - ლიკვიდური მარაგების უწყვეტობის უზრუნველყოფა (არსებული და ანალიტიკური პროდუქტით)	8. გამოწვევები (ტოპ მენეჯმენტი, თანამშრომლები) თუ სამუშაო ადგილები კოიზის ნიშნის ქვეშ უბოტება, წინასწარვე იყოს ცნობილი და კვლე იყოს ინფორმირებული როგორ ამ მდგომარეობის ასევე ვადების შესახებ ყალიბ იმდენი მიცემის ნაცვლიდ, რომელიც საბოლოოდ დასრულება მაიო სამსხროდან დათხოვნით ან საერთოდ კომპანიის დახურვით, ყველა აჩვენებს, რომ თუ ეგვრები ჩართული არიან მკაცრი გადაწყვეტილებების შესახებ კომუნიკაციაში, მათი რეაგირება და გამბედაობა გაიკლებით უკეთესია, ვიდრე უცაბედი რეაქტორი სურათში, ამიტომ პირველი როლი გადვადება პირველი 7 ნაბიჯი ამ რეალობის თავიდან ასაცილებლად
3. Cash-Flow-ს გადახედვა მიმდინარე ტენდენციებით (ტოპ მენეჯმენტი, ფინ.განყოფილება) - წინა წლების Cash-Flow რეპორტის გენერირება - წლის ბოლომდე ბიუჯეტის დადგენა და მკაცრად დაცვა 2021 წლის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა 2021 წლის / ვარტების ბიუჯეტის მკაფიოდური სიზუსტე - მთავარი პრიორიტეტების გამოყოფა (პარტო - 80% ხარჯი) - პიკეტაჟიანად გადასახადები - სხვა მოწოდებულები - ხელფასები - ბიუჯეტი	6. ანტიკრიზისული გეგმა (ტოპ მენეჯმენტი) - შესაქმნელია წლის ბოლომდე სამოქმედო გეგმა - ჩამოსავალიბებული მთავარი მისაღწევი მიზნები - გაყოფილება, პროექტები, კლიენტები, თანამშრომლები, ხარჯები - დასაინჟინო მასუბისმდებელი - გეგმა გადასახდელი მიზნებზე კვირაში ორჯერ - გეგმა უნდა გაეცნოს საერთო კრებაზე თანამშრომლებს - მივითხოვით თანამშრომლების იდეები გეგმის გაუმჯობესებისათვის (ეს მითივაციის ერთ-ერთი მექანიზმია)	9. შემოსავლის და კომუნიკაციის ახალი გზები (ტოპ მენეჯმენტი, გაყიდვები) - აღვიქვით ეს "დამინაზა, როგორც შესაძლებლობა" და ვიფიქროთ ახალ შემოსავლის გზებზე და პოტენციალზე (გავისესხოთ თუნდაც ადრე წავიქრო და დავიწყებული იდეებიც) - Cloud Solutions და მონაცემთა ცენტრალიზაცია - E-Commerce - ვიდეო ანალიტიკა (ამ ეტაპზე თუნდაც კაიზმის პროგრამა საწარმოებისათვის) - HubSpot (მარკეტინგი, სოც. ქსელები, CRM)

კომპანიის მიერ მოხდა კონკრეტული ღონისძიებების დასახვა, თითოეული ნაბიჯის მიხედვით. იგეგმება მიმდინარე გეგმის კვლავ გადახედვა 2021 წლის ბოლოს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ COVID-19-ის აფეთქება პანდემიად გამოაცხადა 2020 წლის მარტში. პანდემიასთან გამკლავებაში მთავრობების მოქმედება და რეაგირება გავლენას ახდენს საზოგადოების, ზოგადად ეკონომიკის და შესაბამისად, ბიზნესის საქმიანობაზე. პანდემიას განსხვავებული გავლენა აქვს სხვადასხვა საოპერაციო სეგმენტზე. პანდემიას გავლენა არ ჰქონია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე მიუხედავად მისი ეფექტისა საქმიანობის შედეგებზე:



2020 წლის ჯამური რეალიზაცია 22% ნაკლები იყო 2019 წლის მონაცემებზე. რაც იქცა კომპანიის უმთავრეს გამოწვევად: 2021 წელს აღიდგინოს 2019-ის მდგომარეობა.

კომპანია რჩება მომგებიან საწარმოდ საანგარიშგებო წლისთვის. მას აქვს ასევე დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან.

2020 წელს მოხდა კომპანიის მთავარი კორპორატიული ღირებულებების (მისია, ხედვა, ღირებულებები) გადახედვა და მათი ახლებურად ჩამოყალიბება:



მათთან ერთად, ჩამოყალიბდა კონკურენტული უპირატესობის და შესატავაზებელი ღირებულების განსაზღვრებები და მრავალი, სხვა მთავარი, მომხმარებელამდე მისატანი მესიჯი, რომლებიც საბოლოო ჯამში გაერთიანდა განახლებულ კორპორატიულ პრეზენტაციაში. განახლდა აგრეთვე კორპორატიული ფერები. ჩამოყალიბდა ე.წ. Brand Story.



ხარისხის მართვა


ხარისხის მართვა კომპანიისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ISO 9001:2015 სისტემის დანერგვის შემდგომ, მისი სტანდარტების დაცვა და მათი გაუმჯობესება კომპანიის ზრდის განუყოფელი ნაწილია.



საანგარიშო პერიოდში, კომპანიაში აქტიურად ინერგება ე.წ. „ეფექტიანი მართვის“ KAIZEN™/Lean პრინციპები. აგრეთვე, 2020 წელს დაინერგა ISO 45001:2018 სტანდარტები.

2020 წელს კომპანიამ განახორციელა პროექტების გამტარუნარიანობის ანალიზი. შესრულებული და მიმდინარე პროექტების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წელს პროექტების ჩაბარების ვადები ზოგჯერ აღემატებოდა გეგმიურს. ჩატარებული გაუმჯობესების ღონისძიებების შედეგად, შესრულების საშუალო დრო შემცირდა, რითაც გაიზარდა ერთის მხრივ კლიენტთა კმაყოფილება და მეორეს მხრივ, კომპანიის მიერ დროის მოგვემუდამა პროექტების გამტარუნარიანობა

2020 წელს გაუმჯობესდა კლიენტთა კმაყოფილების გამოკითხვის მონიტორინგის სისტემა, რომელიც ასევე ერთ, ცენტრალიზირებულ დეშბორდზეა ახლა უკვე განთავსებული.



ძირითად KPI-ს, რომელიც მიზნად ისახავს 85%-ან კლიენტის კმაყოფილებას, პროექტის შესრულება 89,93%-ით აკმაყოფილებს, თუმცა არც პროექტის დიზაინის ფაზა არის შორს მის შესრულებასთან 84,79%-ით. ხოლო სერვისი 81,25%-ით მართალია ყველაზე შორსაა მაჩვენებელთან, მაგრამ წინა პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაა (73%).

2020 წელს მოხდა თანამშრომელთა კმაყოფილების დონის გამოკითხვა სპეციალური კითხვარის მეშვეობით. გამოკითხვა ატარებდა ანონიმურ ხასიათს. მონაწილეობა მიიღო თანამშრომელთა უმრავლესობამ. მიღებულმა შედეგებმა, გუნდური მუშაობის შედეგების გათვალისწინებით, კომპანიას მისცა ნათელი სურათი, თუ რა მიმართულებით უნდა იქნას ესა, თუ ის საკითხი გაუმჯობესებული. გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

2020 წლის საქმიანობის შედეგების შეფასებით, კომპანიის მიმდინარე რესურსები იქნება ეს ადამიანური, თუ ფინანსური, აკმაყოფილებს კომპანიის მდგრადობას. თუმცა, პროცესების და სტრატეგიული გეგმის კიდევ უფრო განსავითარებლად, დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- გაყიდვების მენეჯერის აყვანა და „აქტიური“ გაყიდვების გუნდის ფორმირება
- HR მენეჯერის დაქირავება 130-150 პერსონალის უფრო ეფექტიანად სამართავად
- Digital მარკეტინგის; ბრენდ და ვებ დეველოპერების დაქირავება მარკეტინგის მიმართულების გასაძლიერებლად

2020 წელს მოხდა არსებული FMG სისტემის სინქრონიზაცია მაიკროსოფტის, ბიზნეს ანალიტიკის მოდულთან Power BI-სთან. Power BI-ს პლატფორმაზე შეიქმნა მარაგების მართვის მოდული, რომელიც უკეთესს პროგნოზირებას სამომავლო გასაყიდ რაოდენობებს და მასზე დაყრდნობით უნდა მოხდეს ოპტიმალური მარაგების შეკვეთა. ამ მოდულის საშუალებით გაკეთდება სტრატეგიული პოზიციების შერჩევა და ძირითად მომწოდებელთან შეკვეთის ფორმირება და გაგზავნა.

კომპანიაში მოხდა ცენტრალური საწყობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. კერძოდ, ათვისებული იქნა, დამატებით, ახალი სასაწყობო ფართი, რამაც საშუალება მოგვცა უფრო ორგანიზებულად და სტრუქტურულად მივდგომოდით სასაქონლო მარაგების ფიზიკურად მართვის საკითხებს.

ინფორმაცია ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები შესადარისი მაჩვენებლებით შემდეგია:

	2020	2019
წმინდა მოგების მარჟა	13%	9%
საერთო მოგების მარჟა	19.6%	20.6%
მოგება დაბეგრამდე მარჟა	13%	9%
უკუგება კაპიტალზე	22.1%	23.1%
უკუგება აქტივებზე	15.7%	14.7%
ლიკვიდობის კოეფიციენტი	2.6	2.2
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.9	0.8

კომპანიის წმინდა და დაბეგრამდე მოგების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია.

კომპანიის ფილიალები

კომპანიას არ აქვს ფილიალები. კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ბოხუას ქ. #4-ში.

NEOTECH - ORGANIZATION STRUCTURE



2020 წელს დაიგეგმა კომპანიის განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები (2020წ. - 2023წ.); ძირითადი გაუმჯობესების მიმართულებები და სამოქმედო გეგმა:

GOCDM	მიზნები	2019	2020	2021
Quality	CSL (კლიენტის კმაყოფილება)	75%	85%	90%
Growth	გაყიდვები (დღგ)	26,2M	21,4M	26,5M
Growth	NET MARGIN	7,0%	4,0%	7,0%
Growth	GROSS MARGIN	39,0%	37,0%	40,0%
Motivation	თანამშრომელთა კმაყოფილების დონე	N/A	69%	80%
Delivery	ეწ პროექტის Lead-Time-ის შემცირება	N/A	X	x-25%
Cost	მარაგების შემცირება	N/A	Y%	Y-20%
Growth	NEW REVENUE STREAM	0	Min. +1	Min. +2

მთავარი სტრატეგიული მიმართულებები



შესყიდვები:

- პროცესის ოპტიმიზაცია
- „შეკვეთის წერტილი“
- საბრუნავი კაპიტალის გამონათვისუფლება



საწყობი:

- 5S ორგანიზება
- პრობლემების მართვა
- მარაგების ოპტიმიზაცია



რეგულარული შეხვედრები:

- ტოპ მენეჯმენტთან (თვეში ერთხელ)
- განყოფილებები (ყოველკვირეული)
- საკითხთა მართვა
- შეუსაბამობების მართვა



KPIs:

- ყველა მმართველ პროცესზე



ბიუჯეტი:

- 2021 წლის Cash Flow გეგმა
- ყოველთვიური Cash Flow
- Forecast Accuracy



პროცესების მართვა:

- გაყიდვები
- მარკეტინგი
- HR

გარდა უკვე დანერგილი Power BI-სა, რომელიც დიჯიტალიზაციის დონის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იყო, კომპანიაში განხორციელდა და ვითარდება შემდეგი პროექტები:

- თანამშრომელთა მოსვლა-წასვლის უკონტაქტო აღრიცხვა
- CRM მოდულის გაუმჯობესება (Bitrix, HubSpot)
- ERP სისტემის განახლება ან საერთოდ ახალ პლატფორმაზე გადასვლა
- Call Center-ის ავტომატიზაცია
- YouTube არხი
- ვებგვერდის სრული განახლება
- GPS სისტემებით პროექტების მონიტორინგი

შემდეგ ეტაპად კომპანია განიხილავს შემდგომ გაუმჯობესების მთავარ მიმართულებებს:

- გაყიდვების და მარკეტინგის პროცესების ეფექტიანობის გაზრდა
- სასაქონლო მარაგების მართვის მოდულის ტესტ რეჟიმიდან რეალურ რეჟიმზე გადასვლა
- შეუსაბამობების და რეკლამაციების რეგულარული დაფიქსირება სისტემაში
- თანამშრომლების პროფესიული სწავლა-გადამზადება
- თანამშრომელთა მოტივაციის სისტემის განახლება HR მენეჯერთან
- სტრატეგიული სამოქმედო გეგმის ანალიზი და განახლება წელიწადში ორჯერ

ინფორმაცია საკუთარი აქციების გამოსყიდვის შესახებ

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების შეძენა და/ან გასხვისება.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ამიტომ საოპერაციო რისკების მართვის პროცესებს დიდი ყურადღება ეთმობა კომპანიის მიერ. კომპანიას სტრატეგიული განვითარების მიმართულების აქტივობები შეფასებული აქვს შესაძლო, ან არსებული რისკების ჭრილში, რომელიც შემაჯამებული სახით ქვემოთ ცხრილში არის მოცემული:

	მრეწველობა / ქვემრეწველობის კატეგორია	არსებული			ფონისიძიება	შესრულებადობა	საშუალო
		სიმაღლე / აღბათობა	გაფრთხილება	წონა			
1	ხარისხის მართვა			14.80	ხარისხის მართვა	2.70	7.00
1.1	ფორმის განვლილი პროცედურები	3	4	12	პროცედურების მართვის სტანდარტიზაცია (A3 ფორმის მუშაგეგმად VSM)	3	4
1.2	არასრულყოფილი მართვა	3	4	12	ხარისხის კონტროლის მართვა, QCD პარამეტრების შემოღება	5	4
1.3	გასაუმჯობესებელი მუშაგეგმების მართვა	4	3	12	რეგულაციური მუშაგეგმების სტანდარტიზაცია	1	6
1.4	პროცედურების მართვის გაუმჯობესება	3	4	12	პროცედურების მართვის სტანდარტიზაცია (A3 ფორმის მუშაგეგმად VSM)	2	4
1.5	სუსტი ფინანსური ბიუჯეტიზაცია	5	4	20	2020 წლის ბიუჯეტის მომზადება	2	12
1.6	KPI-ის არ ქონა თითოეული მართვით პროცესისთვის	4	4	16	KPI-ების შექმნა მართვით პროცესისთვის	4	8
1.7	გროვადიანი მონიტორინგის არ ქონა	4	4	16	2023 წლის სტრატეგიული მონიტორინგის ჩამოყალიბება	1	8
1.8	კომპიუტერული იმპლემენტაციის არ ქონა	4	4	16	მონიტორინგის, იმპლემენტაციის კომპიუტერული უზრუნველყოფის ჩამოყალიბება	1	8
1.9	შეზღუდული მონიტორინგის არსებობა	4	4	16	ანალიზის ანალიტიკური ანგარიშის შეზღუდვა	3	8
1.10	მონიტორინგის სუსტი კომპიუტერული	4	4	16	თვითონ დაცვის მუშაგეგმები, კონტაქტის რეგულაციური მუშაგეგმები	5	8
2	ადამიანური რესურსების არაეფექტური გამოყენება			14.11	ადამიანური რესურსების არაეფექტური გამოყენება	3.50	6.83
2.1	არასაკმარისი პროფესიონალიზმი	3	3	9	2020 წლის ტრენინგ პროგრამის ჩამოყალიბება	5	3
2.2	რეგულაციური ცოდნის მონიტორინგის / ადგილობრივი	4	4	16	ცოდნის გადამდების სტანდარტიზაციის შემოღება	5	8
2.3	სუსტი ადგილობრივი ხარისხი	4	4	16	Poka Yoke, Jidoka-ს დანერგვა, დეველოპმენტის ადგილობრივი ფორმების შემოღება	3	8
2.4	ანალიზის კადრების მოქცევა	4	3	12	კადრების მოქცევის სტრატეგიის ჩამოყალიბება, ტრენინგის ცენტრის პროექტი	5	6
2.5	კადრების გადამდების	2	3	6	თანამშრომლის გადამდების ჩამოყალიბება	3	3
2.6	კადრების მოქცევის მოქცევის და ფუნქციონირების არასრული განმარტება	3	3	9	თითოეული კომპიუტერული ფუნქციონირების უზრუნველყოფის ჩამოყალიბება	2	3
2.7	კადრების მოქცევის მოქცევის და ფუნქციონირების არასრული განმარტების არ ქონა	4	4	16	თითოეული კომპიუტერული ფუნქციონირების უზრუნველყოფის ჩამოყალიბება	3	8
2.8	KPI-ების არ ქონა თითოეული პროცესისთვის	4	4	16	KPI-ების შექმნა თითოეული პროცესისთვის	4	8
2.9	საშუალო დეველოპმენტის პროცესი	4	4	16	საშუალო დეველოპმენტის მართვის შემოღება	4	8
2.10	საშუალო არასრულყოფილი განმარტება	3	3	9	TO DO LIST-ის შემოღება, Task Management რეგულაციური ანგარიში	2	3
2.11	MUDA (WALKING/TALKING/SMOKING...)	4	4	16	MUDA (WALKING/TALKING/SMOKING...) გაზოგადება	4	8
2.12	კადრების მოქცევის გაზოგადება	4	4	16	კადრების მოქცევის გაზოგადება	4	8
2.13	დეველოპმენტის სტანდარტიზაცია	4	4	16	დეველოპმენტის სტანდარტიზაცია	2	8
2.14	მოქცევის უზრუნველყოფის (SKILL) ტესტირების სისტემა	4	3	12	მოქცევის უზრუნველყოფის (SKILL) ტესტირების სისტემის განხორციელება	5	6
2.15	მოქცევის და დეველოპმენტის უზრუნველყოფის	4	4	16	თანამშრომლის გადამდების ჩამოყალიბება	3	8
2.16	არა რეგულაციური მუშაგეგმები	4	4	16	რეგულაციური მუშაგეგმების სტანდარტიზაცია	2	8
2.17	პროცედურების მართვის არ ქონა	3	4	12	პროცედურების მართვის შემოღება (KAMISHIBAI)	4	4
2.18	დეველოპმენტის სისტემა	5	5	25	კომპიუტერული პროცესების უზრუნველყოფის და განმარტების შემოღება	3	15
3	გაყიდვები			15.44	გაყიდვები	2.44	8.67
3.1	გაყიდვები KPI-ების არ ქონა	5	4	20	გაყიდვების KPI-ების შემოღება	2	12
3.2	საზოგადოებრივი გაყიდვების არქონა	4	4	16	საზოგადოებრივი გაყიდვების სტრატეგიის შემოღება (A3 ფორმის)	1	8
3.3	გაყიდვების არასტანდარტიზებული პროცესი	4	4	16	გაყიდვების პროცესის სტანდარტიზაცია	2	8
3.4	მოქცევის უზრუნველყოფის რეგულაციური საკითხი	4	4	16	"ამოსაყიდვ" პროცესის რეგულაციური სტანდარტიზაცია	3	8
3.5	R & D არასტანდარტიზებული პროცესი	4	3	12	R & D პროცესის სტანდარტიზაცია	4	6
3.6	კომპიუტერული არასტანდარტიზებული პროცესი	4	4	16	კომპიუტერული არასტანდარტიზებული პროცესის სტანდარტიზაცია	2	8
3.7	გაყიდვების სუსტი პოლიტიკა	4	4	16	კომპიუტერული სტანდარტიზაცია და კომპიუტერული გაყიდვების პოლიტიკის შემოღება	3	8
3.8	გაყიდვების გაყიდვების პროცესი	5	4	20	VSA - ღირებულების ანალიზის ფორმის და პროცესის ოპტიმიზაცია	2	12
3.9	დეველოპმენტის დეველოპმენტის	4	4	16	დეველოპმენტის დეველოპმენტის ანალიზის და პროცესის ოპტიმიზაცია	3	8
4	ფინანსები			10.29	ფინანსები	3.00	4.57
4.1	ნაშთების კონტროლის ნაშთები	4	3	12	კან-ან სისტემის შემოღება, მონიტორინგის ნაშთების სტანდარტიზაცია	3	6
4.2	დეველოპმენტის მოქცევის სისტემის პროცესი	3	2	6	მოქცევის სისტემის მართვის შემოღება	2	2
4.3	დეველოპმენტის მოქცევის სისტემის პროცესი	3	3	9	მოქცევის სისტემის მართვის შემოღება	2	3
4.4	არასტანდარტიზებული სასაწყობო მართვა	4	3	12	გაყიდვების არასტანდარტიზებული მართვის სისტემის ოპტიმიზაცია	3	6
4.5	OOS	3	3	9	კან-ან სისტემის შემოღება, მონიტორინგის ნაშთების სტანდარტიზაცია	3	6
4.6	DEAD STOCK	5	3	15	DEAD STOCK - გაყიდვების სტანდარტიზაცია (საზოგადოებრივი რეგულაციური, როგორც ვარიანტი)	3	9
4.7	საშუალო სივრცის არასტანდარტიზებული მართვა	3	3	9	SS ადგილი - საწყობი, სერვისი, Front Office	5	9

უნდა აღინიშნოს 2020 წელს COVID-19 პანდემიით გამოწვეული კრიზისი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მთელ მსოფლიოზე, როგორც ადამიანთა ჯანმრთელობის, ასევე ფინანსური კუთხით. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლები, შემუშავდა კრიზისის მართვის გეგმა. მიმდინარე მოვლენების ფონზე კომპანია კვლავ რჩება ფუნქციონირებად საწარმოად.

საოპერაციო რისკების გარდა, კომპანია საქმიანობის პროცესში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობისა და სავალუტო რისკები.

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავლობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მონიტორინგს. კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ფინანსური მოთხოვნების საკრედიტო ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნაში (განმარტებითი შენიშვნა 13).

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. კომპანიას არ აქვს გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

ი. ფარჯიანი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად. კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშობა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში ვალუტის კურსის ცვლილებებთან კავშირში. კომპანია არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2021 წლის 15 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ი. ფარჯიანი